



სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

რისკის შეფასების სამსახური

აზიური ფაროსანას, *Halyomorpha halys* ბუნებრივი მტრის, იაპონური ტრისოლკუსის *Trissolcus japonicus* საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანისა და თავისუფლად გაშვების რისკის ექსპრეს შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები

რისკის შეფასებით დადგინდა, რომ *Trissolcus japonicus* -ის გამოყენებით შესაძლებელია:

- ქიმიური კონტროლის შემცირების გზით მნიშვნელოვანი სასიკეთო ზემოქმედება (ზეგავლენა) ეკოსისტემებზე, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს სასარგებლო ფაუნაზე (ფუტკარი, დამამტვერიანებელი მწერები და ა.შ.);
- *H. halys*-ის პოპულაციის შემცირება ფრას ტერიტორიაზე;
- *H. halys*-ის კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო შემცირება;
- ადამიანებისა და საზოგადოებისათვის *H. halys*-ით გამოწვეული არასასიამოვნო ფაქტორებისა; და მატერიალური დანაკარგების შემცირება.
- გასათვალისწინებელია, რომ ზემოქმედების შეფასების არელაში *T. Japonicus*-ის პოპულაციას შეიძლება კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივმა ენტომოფაგებმა და მიკროორგანიზმებმა აგრეთვე, შესაძლებელია *T. Japonicus*-მა დააპარაზიტოს ადგილობრივი Pentatomidae სახეობების უმნიშვნელო რაოდენობა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, რეკომენდებულია:

- აზიური ფაროსანას -*H. halys* ბუნებრივი მტრის, იაპონური ტრისოლკუსის -*T. japonicus* საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა და პირობითი (საკონტროლო) გაშვება.
- *T. japonicus* -ის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოპულაციის გამრავლება და პირობითი (საკონტროლო) გაშვება.
- აზიური ფაროსანას, *H. halys* ბუნებრივი მტრის, იაპონური ტრისოლკუსის *T. Japonicus* ლაბორატორიული გამრავლება (< 72 სთ-იანი ექსპოზიცია) ცივად შენახულ (-60, -80 C<sup>0</sup> ტემპერატურა) *H. halys*-ის კვერცხებზე. *H. Halys* გამოყვანა ბადისებრ აღზრდილებში (30 x 30 x 60 სმ), თითოეულში 40-60 შერეული სქესის ზრდასრული ინდივიდების მოთავსებით 25 C<sup>0</sup> ტემპერატურაზე, 50-70%- იანი ტენიანობითა და 16:8 L:D ფოტოპერიოდიზმით;
- *T. Japonicus*-ის პირობითი (საკონტროლო) გაშვება სასურველია მოხდეს ტყის ნაკვეთზე, მინდვრის კიდეებიდან სულ მცირე 10 მეტრის დაშორებით, *H. halys*-ით მჭიდროდ დასახლებულ საკვლევ, საცდელ ტერიტორიებზე გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ადგილებში, ერთმანეთისაგან მინიმუმ 4 კმ დაშორებით, საცდელი ტერიტორიები შეირჩეს რანდომიზირებულად (შემთხვევითობის პრინციპით);
- *T. Japonicus*-ის გაშვება უნდა მოხდეს *H. halys*-ის კვერცხების პიკურ პერიოდში, სამჯერადი გამეორებით. გაშვებამდე მინიმუმ 48 საათის განმავლობაში პარაზიტოიდებს უნდა მიეცეთ შეჯვარების საშუალება. გაშვების ნორმა მერყეობს (100-დან 1000 ინდივიდამდე) მასპინძლის დასახლების სიმჭიდროვის გათვალისწინებით.